

დიტერნატურული გზეუტი

№8 (240) 26 აპრილი - 9 მაისი 2019


ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი


მთხროგა*ნოველა*ჩანახატი*ლეჟსი*ღეგიუტი




პოეზია*პროზა*ლიტერატურა*პოეზია*პროზა*ლიტერატურა



მთხროგა*ნოველა*ჩანახატი*ლეჟსი*ღეგიუტი



პოეზია*პროზა*ლიტერატურა*პოეზია*პროზა*ლიტერატურა



მთხროგა*ნოველა*ჩანახატი*ლეჟსი*ღეგიუტი



დახიუხი

— შენ კარს უდარაჯებ! — სალოკი თითი გულხელდაკრეფილ, უკან კობხად...

— ნუ გემინია, ჩემთვის დაკისრებულ საპატიო მოვალეობას პირნათლად და პატიოსნად შევასრულებ...

— მჭერმეტყველი ძაღლი, — ზიზილით წარმოთქვა იაშამი...

— ჯერ ერთი, ძაღლი კი არა, პოლიციელი ქვია და მერე მეორე, თქვენთან რა მჭერმეტყველობა უნდა დამჭირდეს...

— შენთვისვე ჯობს, ეგეთ ლაპარაკს შეეშვა და მაგ კარს უდარაჯო, — იაშამს ტონში სიმკაცრემ და გაცხარებამ აგრძობინა...


— ჯერ კიდევ ბავშვობაში მათი უბნის დიდი ბიჭებისგან (ჭკუის დამრიგებლები-სგან და მაგალითის მიმცემებისგან) გაუგონიათ...

— აქვე შევთანხმდეთ, რომ ეს ბიჭები ერთმანეთის არც მეგობრები არიან...

— დიდსულოვანმა იაშამ დაინდო და არ გასწირა მისი ბავშვობის ძმაცანი, მიუხედავად მისი ბავშვური საქციელისა...

ცირებაც იქნებოდა და თვით იაშამსიც, რადგანაც უცხო ადამიანის წინ დაამცირებდა ძმაცანს...

— ჯერ მოგეხსენება, ბიჭების კენ იბრუნა პირი, აინტერესებდა, დანყებულებოო თუ არა ის...



ზურა ბაუტაშვილი

ქუჩის სატირული ყოფა

ანობაში, რომ ვერ იგრძნო ხელები, ალექსანდრემ რომ მხრებზე ფრთხილად დაადო...

— ვნახოთ, როგორი იქნება. თავი კი მოგაქვს ჩემი სოფლისაა და უეჭველი...

„დაგავფენს“ 5 კაცსო, — იაშამ სიცილით მიმართა თავის საქმეში გართულ ბართლომეს.

— აი, ნახავ, როგორ გესიამოვნება, კაიფიდან მთელი ღამე ვერ გამოხვალ, — თავი არ აუღია...

— ვერც ძილში? — წარბის აწევით ჰკითხა.

— დამიჯერე, არც ძილში მოგასვენებს, — მიხვდა, ამის მოსმენა იაშამს ესიამოვნებოდა...

— ჩემ ძმას, ალექსანდრეს, უნდა გავახვიეთ, — ამაზე მხოლოდ იმით გადაიხარხარეს...

— ჯერ გასინჯული არ აქვს ხომ? — ლიმილით შენიშნა ბართლომემ და მხოლოდ ახლა შეატრიალა თავი ბიჭებისკენ.

— არა, არ მაქვს, — ისეთი დარცხვე-

და. ავთო ყველას უყვარდა. ამ სიყვარულის ერთ-ერთი მიზეზი კი მისი სასიამოიყო — სახელდობრ ის, რომ დიდთან დიდი იყო...

— მოსანევი აქვთ, ხო? — გადაბმული წარბების (წარბის) აწევით და მსუქან სახეზე უცნაური ლიმილით წარმოთქვა...

— შო, ბიჭო, აბოლებენ ბიჭები, — წამით ხმაში ირონია გამოურია.

— იაშა, ზურგს უკან რას მალავ? — გამომცდელი მზერით მიმართეს გაფითრებულ იაშამს.

— მიდი, ბიჭო, გვითხარი რა გაქვს, რისი გრცხვენია, კაცი არ ხარ?

— არაფერი, ავთო ძია, არაფერი არ მაქვს, — მშვიდი ლიმილით უპასუხა, — რისი უნდა შემრცხვეს?

— შო, ბიჭო, რა ვიცის, ჩვენთან რისი უნდა შეგრცხვეთ?! არც არაფრის, — ხელები ჯიბეში ჩაიწყო ავთომ.

— თქვენ ჩვენი ძმაცაცების შვილები ხართ და ჩვენი პატარა ძმაცაცებიც, ხომ იცით? თქვენთვის მხოლოდ კარგი გვინდა, — ბიჭებს თვალი ჩაუკრა „ღრუზინული“ ჰაბიტუსის მქონე კაცმა...

იაშამ იცოდა, თუ მათ იმას დაანახებდა, რასაც ზურგს უკან ასე გულმოდგინედ მალავდა, პრობლემები არა მარტო მას, არამედ, ყველა მის ძმაცაცს შეექმნებოდა.

— დიდხანს გელოდოთ ამხელა კაცები? გვანახე, რას მალავ და მოვრჩით, იქნებ და არაფერს ცუდს არ გეუბნებით...

— დავიღალე ამდენი დროის ფუჭად ხარჯვით, — გაბრაზებით ამოიხვნეშა...

— არა, უფრო მაგარზე, — თვალი კიდევ ერთხელ ჩაუკრა ალექსანდრეს, ოლონდ, ამჯერად მარჯვენა.

— ამაღს გვიმალავდით, ბიჭებო? — ავთომ მის უკან მდგომ კაცს გადახედა და ორივემ რაღაც უცნაურად გადაიხარხარა...



მისტიკა

როცა უშენო დილებიდან საათს ვასწორებ და ინდოეთის ოკეანის დროით ვსაუზმობ, ავურევ ქვიშას არაბეთის ტალღის ნაწილებს და გადახსნილი ლაყუჩებით ვიჭერ კარუზოს. მაშინ მე დროის სხვანაირი ათვლა მენწყება, ვაწყობ ქვირითის მასშტაბებით დღეებს გამოვლილს, ღამეებს უნდა ჩამიყოლოს, როგორც მენწყება, ოკულტისტების ტაროში კი დილა ამომდის. მტრედებს ჭამდე და პურის ნამცეცს კატებს უყრიდე, და თავს მადლობდე, ამ ბილიკზე თუკი დადექი, მონრუპო ყავის მაგიური ერთი ყულუპი და სინანულივით ჩაარჩინო ფინჯანს ნალექი. აი, ეს არის, სულ ეს არის ჩემი მისტიკა, რა ხე იგვავებს, გავაშენე სულში სტეპები, მე შემოძლია თავად ვნერო მთელი კრიტიკა, რომ უზნეო ვარ და ზნეობას ძალით ვედეტი. მე შემოძლია იქ ვიპოვო მთელი სიმშვიდე, სადაც მწყემსები აუღულარ რძეზე ვახშობენ, გაფურჩინარდე, რომ შენც ნერვებს აღარ გიშლიდე და პასიური სკეპტიციზმით, როგორც ამბობენ, არ გადავლავლო პრაქტიკული ნუთისოფელი... როცა ასეთი დილებიდან საათს ვაჩერებ, ვხდები ჩემივე მოპარული დროის მფლობელი და რძეს ვაყოლებ დაობებულ დროის ნარჩენებს.

დააუზუჯა

ახლა ისეთი მარტო ვარ, რომ კვლავ მოგელექსე, ამ ეკვატორზე ნელინადის დროა არცერთი, მაჯებს იხსნიან მდროვენი ოქროს როლექსზე, ჰო, სად გაჩერდი... უცნაური, ეპოქალური, არის შეტევა მძიმე ფორმის მთელი კლიმაქსი, გველის ტყავივით ამობრუნდა გამოქვაბული, სირაქლეტები აღარ ყოფენ თავებს სილაში. საგიჟეთია, წრიალია, აქ ამბებია, ეიფორიულ ზენიტებში აღარ ვსრულდებით, ნითელ ხალიჩებს ჯოჯოები ეგებებიან და კვლავ ნითელი აღმებოვით მოაქვთ სულელები. ყვავმაც იმღერა თვითგვემურად ყვავის პარტია, მე რა ნამუსით ჩავიგუბო პირში მდინარე, მიტაცებულის მიტოვება თუ გვაპატიე, ღმერთო, თუ ყველა ეს იქიდან გამომდინარე, ხდება, რადგანაც ჩვენ ომები დავაპაუზზე, იოლი გზებით, დიალოგით, ცივილურობით, მზეებს ბინტივით თავს ვახვევდით ფარდა-ჟალუზებს, მზეებს, რომლებსაც სიცოცხლისთვის ასე ვწყუროდით. და გათენება ვერ გავიგეთ, ისევ დაღამდა, საგიჟეთია, ხომ გითხარი, აქ ამბებია, ვნერთ თითო-ორი პოეზიურ ანწყოს ნაგავს და ესეც იმათთვის, ვინც ურნებში იქექებიან. ჰო, რას ვამბობდი, მოვედი და კვლავ მოგელექსე, რა დეკემბერი, ნელინადის დროა არცერთი... და მე სულ ვფიქრობ შენს ძლიერ და ღამაზე ხელბეზე, რომ შეგხებოდი, პოეტისთვის ლექსებს დაწერდი. ეს გზები როგორ თავიდანვე ორად გაიპო, მაგრამ ვის ახსოვს, მგელის ჯიმი ძალად დაებას, ელის სოხუმი, აფხაზეთი, გროზნო, ალუპო, ჩვენი შეხვედრის პირველსა და ბოლო პაემანს.

სტჰენა

მამას

სოფლის სუნი აქვს მამაჩემს და ვაზი აცვია, ბავშვობიდან რომ გამოთალეს მძიმე ჯვარივით, ჰო, მამაჩემი ღმერთია და გლეხი კაცია, ხან მზედ დამსდევს და ხან ღრუბლიან დილის ჯვარივით. მან არც კი იცის დაბადების ზუსტი თარიღი, დედას თავისი გზა ჰქონდა და მამას თავისი, ახსოვს ბებია ჩემოდანი როგორ აიღო, და უცხო სახლთან მიტოვებულს უცხო აისი ამოუთენდა. სულ ოთხი წლის ყოფილა მაშინ, დღეს ხშირად ამბობს, — ნეტა მაინც როგორ გავძელი, და მამაჩემი დღემდე დარჩა პატარა ბავშვი, რომელსაც ერთი ღმერთი ჰყავდა და ჰყავს — გამზრდელი...



ალა დათუკიშვილი

ზოგჯერ ცხოვრება არ გაკმარებს ჩამდგარ ქარიშხალს, ქარტეხილს კიდეც ღვა მოჰყვა, თხრიდა ვულკანი, და მე მგონია, თვითონ ღმერთიც თითებს დაიჭამს, თუ მამაჩემზე ყველაფერი მართლა ვუთხარი. ამიტომ ახლა ეს წვეთია ოკეანიდან, რა შეგვიძლია, ვერ ვუშუშებთ ერთუროს იარებს, მამა ნახევარ ცხოვრების ხიდს უკვე გავიდა, მეც აგერ უკვე მესამედი გადავიარე. ირონიაა, ერთით მეტი წყვილი კეტი და დღეს მამაჩემი იქნებოდა დიდი ექიმი, სულ ერთით მეტი გული, როცა შვილი შეგტკივა, სულ ერთით მეტი იღბლიანი ბედი შექმნილი. მერე გაჰიპდა მამაჩემი, ჰქონდა გრძელი თმა, ის ხშირად უსტვენს ხელსაქმის დროს სიმღერას ბითლზის, და თითქოს ვხედავ ოთხი წლის რომ ამ კართან იდგა, არა და უკვე პაპაა და ღმერთივით მიზის.

ჰემოფობიის თავზარი

გენერალ მამუკა ყურაშვილს

წუხელ უშენო შემოდგომის მედგა თავზარი, ვუცქერდი ზეცას ვარსკვლავები როგორ ტოვებდნენ, და საკუთარი სიმსუბუქე ვედარ დავძარი, რადგან ფეხებით მხრებზე მედგნენ შენი ტოლები. არ გატოლდებით არასოდეს, არა და არა, ქვრივი ნოემბრის მდუმარებას სტირის ალვანი, რამდენმა თომამ მოძღვრის ღვიძლში თითი გაჰყარა, ღმერთო, რამდენი თომად ყოფნის ღირსიც არ არი. ჯერ კიდევ, დღემდე ვერ აღვიქვი ჩვენი დაცემა, დავეცი, არა იმიტომ, რომ გვძლიეს სიმრავლით, არა, ჩვენივე სიმსუბუქე მძიმედ გვანწყება, როგორ ვიქნებით, როგორც ვართ და როგორც ვიყავით... აჭამოთ უნდა საკუთარი ღვიძლი ჭილყვავებს, ერთეულზე და ათასი ისე გადავრჩეთ, რომ ენისაგან განსხვავებით სხეულს ვიკავებთ, და სადაც რისკის მომენტი, არსად არ ვაჩნეთ. ვაი, როგორი შემოდგომის გვიდგას თავზარი, იმის მაგივრად შენს ხატებას ვენთოთ სანთლებად, ასამართლებენ ჩვენს გენერალს, სხვას რას იზამენ, დეზერტირული უზნეობის გასამართლებლად. ამ უვიცობას, ამ სიმტერეს როდის გავნალმავთ, რა საბრალო ვარ, მე რომ აქეთ შემებრალები, რომელი ერთი დავიტიროთ უფრო ხმამაღლა, მკვდარი გმირები თუ ცოცხალი გენერალები.

სიზიჟა

გარეთ ნოემბერი ზამთარს ურიგდება უკვე გაუფინა ფეხვეშ ხალიჩები, ჩემი შენთან მოსვლა ისე გვიანდება, ალბათ უსასრულოდ მარტო დავიჩრები. ლენაეს, ქარი ღენაეს ხეთა კენწეროებს, ფანჯრებს შემომსკდარი კვდება ღამისთევა, მიყვარხარო, — ისე ვნებთ მიმეორებს, თითქოს რაც დამთავრდა, ისევ დაიწყება. აჰა, მთელი წყება მიზოფრენიები, მთელი გისოსები კარზე აჭედლი, თეთრხალათიანი ქალი-ფერიები, და მე საკუთარი თავის განდევლი. თითებს დაიჭამენ ღამით ვარსკვლავები, მხოლოდ თვალი სწვდება ზეცას სანგარიდან, ახლა ჭკუიდანაც ისე გადავედი, როგორც სასვე მთვარე საზღვარს გადავიდა. აღარ დანყნარდება გიჟთა სონეტები, ასე გაგრძელდება ჩემი ლექსთა წერა, მთელი ტერორიზმით სისხლში მომედები, ჩემი სათრევა ჩემი ბედისწერა.

გარეთ ოკუპანტებს ცეკვა გაუმართავთ, ღმერთო, გააჩერე მათი ნაბიჯები, ღმერთო, შენ გვასწავლე უსისხლოთა მართვა, თორემ გავგიჟდები.

მიზანი...

უმიზეზოდ რომ არაფერი ხდება, ხომ იცი, ჰოდა, ჩვენც ალბათ მიზეზებში უნდა ვეძიოთ, რომ ერთმანეთის ბედისწერა გულზე მოვიწვიოთ და დავცალკევდით, დედამინას რომ არ ვემძიმოთ. ადრე ამაზე ალბათ რამდენს გავცივებდით, ჩვენ ადრე ღამით კუდიანებს ვუყოფდით ლუკმას, არ ვიძინებდით დაშინებულ ხევის იმედით და გვჯეროდა, რომ მძლეთამძლეა ის, ვისაც უყვარს. მაგრამ დროება, ქოლერიკი ალქაჯთაგანი, გარშემორტყმული გალანების ყრუ ავანსცენა, გაგვიგულისდა, ეს სიავე ვედარ ჩაკალით, მოგვცა ფრთები და თან ჩაუთქვა ჩვენი დაცემა. ახლა არ ვიცი, ჩემი გზები არეულია, მივსდევ ბერლინის ლიანდაგს და ვეკვრი უდაბნოს, ზოგს ვაძინებ და ზოგს ვაცივებ, როგორც ურია, დრო კი მოდის, რომ განაჩენი გამოუტანოს. მათ, ვინც სრულიად უმიზეზოდ მოიმიზეზეს ათასი მოთქმა და ათასი სხვათაშორისი, თორმეტჯერ ტყვედ საფეხური თორმეტ კიბეზე და უმიზეზოდ არაფერი ხდება, ხომ იცი. ყველაზე მეტად რაც მაფიქრებს, სიბრალეულია, თუ სიძულვილის მიზეზები ვინმეს მივეცი, ყველა მათგანის სიყვარული დღემდე მწყურია, ჯანდაბას, თუკი ამისათვის არ მაქვს მიზეზი!


პარლამონი

ოცდაცხრა, მთელი უშენობის ცერემონია, კარდამონებით გაჟღენთილი ჩემი სამყოფი, კარგისკენ რამე შეიცვალოს, არა მგონია, ცუდი კი ყველას სამყოფია, როგორც ამბობდი. ბინდდება, ღამეს კატარაქტა ბროლი შეემღვრა, ამოდის ცაზე ტერაქტების მთელი სერია, არ მომინდება გავიხედო, რადგან შენს მიღმა ამ სიმართლისთვის მე შენამდეც არ მომელიან. მელირებული განთიადი მირწევს ალიბებს და ვპირმავედები, პირნათელი რადგან ვიდექი, გამშორდეს ყველა, ვინც შარაზე თვალებს მარიდებს, მე მართალი ვარ სიგანით და მთელი სიგრძითი! გამშორდეს ყველა მარმარილოს მადიდებელი, გამშორდეს, ვინც კი ჩემი მსხვერპლი არ შეინირა, გამშორდეს, ვისაც გადარჩენა ჩემი ებევრა, გამშორდეს ყველა მოზელილი ყამირ მინიდან. ოცდაცხრა, მთელი უშენობის ცერემონია, ლექსით და ბრაზით გაჟღენთილი ჩემი სამყოფი, მითხარი, ღმერთო, შენ მაინც ხომ არა გგონია, რომ სულ ესაა სიყვარულის მთელი ნაყოფი...

კვითაული

თამთა კოსტავას

რა ბნელ ქაოსში დაიბადე ამ თეთრი სულით, მაშინ, მეფეს რომ ღალატობდა მთელი ქვეყანა




და შენ იყავი დაკალმული მეფის ასული,
 მზეთა უნახავს შეგედლო მზე ამოგეყვანა.
 შენი თვალები ანათებდნენ, როგორც ბროლები
 და ამ ნათებას ავ-დროება ვერ მოერია,
 არ მიიკარე მტრის ხატები, დათმე ტოლები,
 ვინც გამუდმებით ტრაბახობს და ბედნიერია.
 ყველას თავისი გზა აქვს მართლაც ნუთისოფელში,
 სოფელში, სადაც მხედართმთავრებს თავებს აცლიან,
 სადაც გიჟები გიჟად გთვლიან და რომ მოგეშვან,
 გიჟდები, მაგრამ სიგიჟესაც არ დაგაცლიან.
 სადაც ყანწია სამშობლო და დასაფიცარი,
 და გადამთვრალნი შესწივიან უფალს ნეტა რას,
 სადაც ზედმეტად ეჩვენებათ ოთხი ფიცარი
 კაცისთვის, ვისი სულიც უდგას ახლა ქვეყანას.
 აი, გავმწარდი,
 შენ, ძვირფასო, არ მომისმინო,
 სადაც ბრაზია, საკადრისაც ველარ მოგწვდები,
 კეთილი მადლით ავსებულო ფრესკის ღიმილო,
 შენ აქეთ უნდა გამოგთხოვოთ კვეთის ლოცვები.

ჩადრიანები

კანმოხარული უდაბნოს ცა
 აკრავს დიუნებს,
 დაოსებული აქლემების
 აპობს ქარავანს,
 ქნარი, რომელიც უშენობას
 დღესაც იურვებს,
 შეშლა, რომელიც სიმშვიდეში
 ისევ თანა მაქვს.
 თავგაპობილი, მზემ გაახმო
 მორიელები,
 მათი აორტით შემეღება
 მთელი ქუსლები,
 ღმერთო, რა ხშირად მეცლებოდნენ
 სხვისი ხელები,
 ამდენ გამოცლას, ამდენ ლალატს
 როგორ ვუძლებდი...
 ძაძადახეულ შენს ჩადრიან
 სახეს დასდევენ
 ურცხვი თხები და ჩლიქიანი
 შაითანები,
 შენთან მიგულე, მე მივაბჯენ
 თმების სატევარს,
 შენ არ მოიხსნა ეგ თავშალი,
 გაითვალე...
 გაითვალე ამ უმსგავსი
 ბედის ნიაღში,
 შენი თვალები ამომშრალი
 ცრემლის ჭებია,
 თუ შეგიხედავთ იმ დაბომბილ
 სულის ნიაღში,
 ღმერთიდან როგორ მოდიან და
 ღმერთთან რჩებიან.
 თუ დაგინახავს, როგორ დაკლეს
 კრავი ჰალაბი,
 ჰო, შენ, ვინც სახით
 არასოდეს არ ტრიალდები,
 ზურგშექცეული დგახარ ასე
 სუფთა ხელებით,
 რადგანაც სისხლში ჩაანვიინეს
 ჩადრიანები...
 კანმოხარული უდაბნოს ცა
 აკრავს დიუნებს,
 დაოსებული აქლემების
 აპობს ქარავანს,
 ვაი, რა ხშირად ვიძმობილებთ
 გამცემ იუდეებს,
 მადლობა ღმერთს, რომ ამ ქაოსში
 რწმენა თანა მაქვს!

სოლომონის ბაჭყალი

არაფერია, ესეც გაივილის,
 ვუძლებ სიყალბის ბოლო სტადიას,
 ზოგი მიირთმევს ნაყინს ვანილის,
 ზოგს კი უბრალოდ ყოფა სწადია.
 ხვალ ალბათ ვინმე შემენაცვლებით,
 ამ თვის ბოლოსაც ასე გავიტანთ,
 გადათეული ღამით მაძღრები
 ლექსებს დავწერ და მასაც კაპიკად...
 ან კაპიკები სად მოვიტანე,
 ჩალის ფასი აქვს ლექსებსაც ჩემო,
 როგორც ბოშები ძირძველ გიტარებს,
 ასე დავათრევთ რითმებს და ვჩემობთ.
 სხვაგან იხარა შენმა საბედლომ,
 სხვათა მიწებზე მიფრინავს წერო,
 რა გინდა ახლა, რომ გააკეთო,
 რაღა ფასი აქვს, რაც გინდა წერო.
 აჰა, უდაბნო, ჯოგები ირმის,
 სხვას ჩემი ქვეყნის სახე სწადია,
 არაფერია, ესეც გაივილის,
 ან
 უკვე გვიდგას
 ბოლო სტადია...



 ილექებოდა ჩემში სიზმარი,
 ხან დარდის მწარე ოხშიერის სუნი
 ხან უნაპირო ცის ნაპირები.
 ხან სიკვდილს ჩემით, რომ ვაპირებდი,
 და ზუსტად მაშინ სახლის კარებში
 შემოდოდა ღმერთი დალილი.

ნამუშევარი მთელი ღამის და
 ნატანჯი სულის თეთრი ტილოთი.
 დედა — რომელიც ღმერთით დინჯი
 და მუდამ თბილი იყო. ვტიროდი
 ძილშიც და ცხადშიც, ღამის მდევარი
 ვეძებდი ჩემში დღეებს უღრუბლოს,

მაგრამ ყოველთვის მჯეროდა ერთი,
 რომ მოვიდოდა დღეები თეთრი
 და მძიმე თოვლში მძიმე ნაბიჯით
 მე გავყვებოდი ბედნიერების
 მწვერვალზე ასულს, გზებს უსასრულოს,
 და ვიქნებოდი ასე მღელვარე.

 ბედი რომ მქონდეს,
 უნდა მომქონდეს
 ბედნიერება
 შენთვის.
 მაგრამ უბედო
 დავბადებულვარ.
 სიკვდილს
 ტკივილი
 ერთვის.
 არავითარი თოვლი
 და
 წვიმა...

ჩემთან ქარია მხოლოდ.
 ვდგავარ ყველაფრით
 აღელვებული
 ჩემი სიცოცხლის ბოლოს.
 არც სიმშვიდეა,
 აღარც პათოსი,
 სიო შემორჩა ხისტი.
 ნუხელ მიმზერდა
 თვალცრემლიანი
 ჩემი მოხუცი
 ქრისტე.
 რადგან გავშორდი,
 სხვა გზას გავყვევი,
 ეკლიანსა და ფართოს.
 ვგავარ სიკვდილის
 პირღია პირმშოს,
 თავზე ცოდვები
 მათოვს.

 ჩემივე სისხლის გუბეში ვარ და მსურს, გაამბო
 სინამდვილეში, უფერული თვალების მიღმა
 რომ აყვავებულ აზრებს ვმაღავ. ჩემი იაბო
 გუშინ ნავიდა რთული გზიდან, ისევე იმ ღრმა
 სივრცეში, სადაც უფალი მყავს, სადაც ჩემივე
 გამოგონილი სამყაროა, სულ რომ იქ არის,

გული, რომელიც ძლივს არის შემორჩენილი,
 სოფელში, სადაც სიყვარულის წმინდა სტიქარი,
 აღარ აცვივთ ერთეულებს, და მუხლში ქარი
 ჩამიდგა დილის მომლოდინეს, მოკლული ღამით.
 დღეს ჩემს საფლავზე ვიდექი და ვერ ჩავიკარი
 სიკვდილი გულში, სული დამწყდა. და ახლა მთვარე
 დანაოჭებულ მოხუცს მოჰგავს. ჩამოვხმი ნორჩი,
 ბიჭი, რომელმაც სულ მცირედი სედა გიაბო.
 შენი სიცოცხლე დავლოცე და ჩემსას კი მოვრჩი.
 ადრე მელოდა, ახლა სადღაც გაქრა იაბო...

 სხვებს რომ სტკიოდა, უზომოდ ვწუხდი.
 მე რომ მტკიოდა, არავინ წუხდა.
 დღეს მთელ სხეულში ძლიერად ქუხდა.
 დღეს მთელ სხეულში ტკივილის მუხტი
 ხეთქავდა ვენებს. მინდოდა მეთქვა,
 რომ ველარ ვკვებავ სიმშვიდის პირმშოს,
 მე ვგრძნობ სხეულში შენს გულის ფეთქვას.
 მე ჩემს თვალებზე შენს ცრემლებს ვიშრობ.

 იქნებ აღარც კი აღარ გახსოვარ!
 ფრთაშესხმულ ბილიკს მივალ უშენოს!
 მაინც ავდგები, შევსთხოვ მაცხოვარს,
 რომ იქნებ ჩემს გულს რამე უშველოს...
 და ასე უმად და ასე სადად
 იდგნენ ტაძრის წინ ჩუმი ვერხვები.
 დავკარგე თითქოს ყველაფრის მადა.
 ახლაც იმ წარსულს შემოვხევევი
 ჩემი ოცნებით, სადაც კვლავ შენი
 თვალები მოსჩანს. აღარ მთავრდები.
 ცის ქიმს ღრუბელთა ჯარები შვენის,
 და ყოველ ღამით ჩემ სულს თავდებად
 უდგება ღმერთი. დროის ხარებით
 მიჰქონდათ სადღაც სევდის ჭილობი.
 და მეც ძლიერად გავიხარებდი,
 რომ მოსულიყავ. ახლა ჭრილობა
 სულამდე აღწევს. მივალ უშენო
 ყველა ბილიკზე. იქნებ გახსოვარ!
 ჩემს თავს ყოველდღე ვცდილობ, ვუშველო.
 ხატებთან ვდგები, ვხედავ მაცხოვარს.

ტრიოლეტი

უშენო დღეებს შერევა თმაში ჭალარა,
 აკაციებმა შემოიცვეს თეთრი სამოსი,
 ისევე უკრავენ სერაფიმთა დასნი — ნალარას,
 უშენო დღეებს შერევა თმაში ჭალარა,
 ნუხელ ფიქრებმა ოცნებები ცაში აყარა,
 სულში შეიქმნა უჩვეულო ღამის ქაოსი...
 უშენო დღეებს შერევა თმაში ჭალარა,
 აკაციებმა შემოიცვეს თეთრი სამოსი...

 ისმის გალობა ანგელოსთა, თეთრდება მყია,
 კვლავ შეიმოსა ხეთა რიგი ღრუბლის სამოსით,
 გაუჩნია ორსულ მინას ლურჯთვალა ია,
 ისმის გალობა ანგელოსთა, თეთრდება მყია,
 აღარ ჩანს მთვარე, ვარსკვლავები, ცის მიღმა ყრია.
 სულში კითხულობს ღამის ლოცვას ბერი სალოსი,
 ისმის გალობა ანგელოსთა, თეთრდება მყია,
 კვლავ შეიმოსა ხეთა რიგი ღრუბლის სამოსით...

 ღრუბელს ბერტყავენ ცის კიდეზე ანგელოსები,
 თეთრი ხეები უფლის კვართით იმოსებიან,
 ხატსაც და ჯვარსაც უკვე ცვლიან ავგაროზებში.
 ღრუბელს ბერტყავენ ცის კიდეზე ანგელოსები,
 ქერუბიმები მიფრინავენ თეთრი ლოსებით,
 ნუთუ ცხოვრება გადამჭნარი მიმოზებია...
 ღრუბელს ბერტყავენ ცის კიდეზე ანგელოსები,
 თეთრი ხეები უფლის კვართით იმოსებიან...

 ვცდილობ ყოველდღე ძიებას ახლის,
 აზრები ჩემი სამყაროს გაცდა.
 და ტაძარია ის ჩემი სახლი,
 სადაც ყოველთვის მიჩნდება განცდა,
 განცდათა შორის მთავარი განცდა.
 ზურგით და გულით ავზიდე ჯვარი
 იქ, სადაც ხალხი ცხოვრებით აცდა,
 და ამის შემდეგ აივსეს ჯავრით
 გული და, ზეცას მოედო თალხი.
 მინად დეკემბრის ქარები ჰქრია.
 და ტაძრის მიღმა იმ ცოდვილ ხალხის
 გულელებში ცოდვის მარცვლები ყრია.
 ასეა, ასე, მეც ვიწყებ ახლის
 ძიებას. სული სამყაროს გაცდა.
 ჩემი და ღმერთის მზიანი სახლი
 არის ტაძარი — ღვთიური განცდა.



და ახლა შორიდან შევხედე ტაძარს. იქ ღმერთი იყო — მე უზომოდ მიყვარდა ღმერთი, მაშინაც კი, როცა გაურკვეველ სიგიჟეს ვგრძნობდი: ვიცო, რომ იყო სადღაც, მხედავდა და მითანაგრძობდა. ვიცო, მჯეროდა რომ უკანასკნელ გზაზე ვნახავდი მას და პირველად ვეტყვოდი ცხადად, რატომ მოვევლინე ამ ქვეყანას კენტად, აუცილებლად ვაპასუხებინებდი მუდარით, რატომ ვერ ვწვდებოდი ვერცერთ კიბეს ამ ქვეყნისას. ვეტყვოდი, ვეტყვოდი, ვეტყვოდი ყოველივეს, რადგან მჯეროდა ბოლო გზაზე ისე არ გამიშვებდა, რომ არ ვენახე. არა, ვერ გამიმეტებდა, რომ არ შემხვედროდი, ღმერთო. გნახავდი, მჯეროდა, მაგრამ ახლა არა...

დამფლეს. პირველსავე მიწის დაყრაზე დამატყდა თითები და გამეხსნა ჭრილობა, გაყინულმა სისხლმა შემიღება კუბო, ამოვიდა ყელამდე და მახრჩობდა. ველ-არაფერს ვგრძნობდი, წყეული სიბნელე, სიცივე, სისხლი.

სად იყვნენ ეშმაკები?! იგვიანებდნენ... სისხლმა პირამდე ააღწია, ხელებს ვიქნევდი, მაგრამ კუბო დალუქული იყო, არ დაგელუქათ მაინც. ცოცხალი არ გამოვრბოდი თქვენთან და ახლა — მითუმეტეს.

სიბნელეა, ვიგუდები, გაგუდვის შიშზე დავიკივლე და გამეღვიძა...

გათენებულიყო...

და მან მართლაც მოიკლა თავი. დაკრძალვიდან ერთი თვის მერე პირველად შევედი მის ოთახში. ჯერ კიდევ მისი სულით ცოცხლობდა ეს ოთახი — მისი სუნი, ციციქნა ხელების ნათითურები მის წიგნებზე. ღმერთო, ნანერები, რაიმეს დაწერდა... და წამსვე მაგიდისკენ გავექანე. შინდისფერი დლიური, იქ წერდა ხოლმე. რალაც, რალაც მაინც იქნება, ბოლოს დაწერილი.

დლიურში აბდაუბა ეწყო ხელით ნანერი, დავწვდი, გადავშალე და „თვითმკვლელის საფლავეზე...“ აქ წყვეტდა სათქმელს. შემდეგ რიცხვი ნავიკითხე — 20 ოქტომბერი, დილა.

როგორც ჩანს, გაღვიძებისთანავე დაუწერია სიზმრად ნანახი და მერე მიმატოვა. ვერაფერს დავამატებ, მის მერე ვდუმებარ და ვერც ახლა ვპოულობ სათქმელს, მხოლოდ დაუსრულებლად შემიძლია, ვწერო მასზე.

ლანა საოცრება იყო, ცალკე სამყაროს მკვიდრი.

ეკლესიურიც იყო... ზედმეტადაც კი. მშვიდიც იყო; მორცხვიც;

მხიარულიცა და უზომოდ სევდიანიც; გონიერიცა და ზედმეტად ნაკითხიც კი; შემოქმედიც ამ სფეროს არაერთ დარგში;

შემფასებელიც; სხვისი ცხოვრების გამხარებელიც და მანუგეშებელიც;

უზომოდ ბავშვურიცა და დიდიც. ყვავილი იყო, რომლის ღეროსაც ერთი ფურცელიც არ აკლდა სათნოებებისა.

აი, ასეთი იყო ჩემთვის იგი, როგორც ერთადერთი და უახლოესი მეგობრისთვის.

როცა ეს მოთხრობა ნავიკითხე და მე ერთი კვირა მოვანდომე მას, იმდენად ცუდად მხდოდა.

დაგპირდი... გვირილების სეზონზე მას ყელში ამოგიყვანა-მეთქი და ასეც ვაპირებდი. დიდი კალათით გვირილები ვიყიდე და შენთან წამოვიყვანი. ვერ შევძელი დამეკრიფა ისინი იქ, სადაც შენ კრეფდი. ამიტომ ყიდვა ვამჯობინე. საფლავეს რომ მიუახლოვდები, საზარელი სიჩუმე მომეხვია გულზე, საშინელიც კი, ყველგან მოხუცების პორტრეტები, მხოლოდ შენ ერეო მართლაც ყაყაჩოსავით ახალგაზრდა. ყაყაჩო მაშინ გინოდე, როცა შენი დაკრძალვის დღეს გვერდით ოთახიდან გამოვედი და რომ გნახე, სისხლი გდიოდა, ისეც გავითიშე... ყაყაჩოს გავიქე მამის, მდელილოზე მოგლეჯილ მკვდარ ყაყაჩოს.

საფლავეს შორის აღმართი ავიარე, ყოველივე ეკლებს გადაევლო, როგორც იქნა, მოვადნე შენს საფლავეზეც და, ღმერთო, გვირილებიანი კალათი დაღმართზე დამიგორდა.

ისინი აღარ იყო საჭირო.

სათაური გამახსენდა „თვითმკვლელის საფლავეზე გვირილა ამოვიდა“, ერთ ბურჯად შეკრული მარტოსული მინდვრის გვირილა, რამდენიმე გაშლილი ყვავილითა და კოკრით დაგნათობდა თავზე.



ფერიცვალება

ნოველაში ბევრი სიმართლის მარცვალა, გამგები დასთვის, ვერ გამგები კი დათვისს ამოდირკევას.

როგორც ჩანს!
შეხედე, რა ნაზად იწონებენ ლამპიონების შუქზე წვეთები თავს!
როგორ შეიცვალა ცა... მგლოვიარესავით გაშავდა და მერე უცებ გასკდა... სუფთა ცრემლები დააფრქვია დედამიწას...
შეხედე!
თუმც შენ იმაზე მეტს ხედავ, ვიდრე მე. აქეთ უნდა მიიხრა, შეხედეო.
ხვალ შენი დღეა და გინდა, ვიგრძნოთ. ვაი, ვგრძნობ.
როგორ ცივა, მაინც არ შევალ შინ. აქ ცასთან ახლოს ამ ფერებს მინდა, ვუყურო. შავი-ლურჯი, მუქი ლურჯი, თეთრი, შიგადაშიგ მონითალო-მოყვითალო.
ცა ათასფერია ლამით, ისეთი, თვით მხატვარსაც რომ შემუშრდება.
შეხედე...
ოჰ, ეს მე უნდა შევხედო. ყოველივე ხომ ჩვენთვისაა. შეხედე, ვიგრძენი, ტანში მთლიანად დამიარა ყველა ფერმა...
ვიგრძენი, ხელი ჩაეჭიდე, გავთბი. ხვალ შენი დღე თენდებოდა.
ხვალ ცისარტყელას მსგავსი ფერიცვალება იყო.
შენი ფერიცვალება, უფალო...
ფერი იცვალე...
ნეტა მან?! მათ?! იმათ...
არ ვიცი...
და მე?!
მე ახალი ფერები შევმატე ნახატს... ნახატი სულთან ახლოსაა, მაგრამ ფერიცვალეობასთან?!
იგი მეტად ღრმაა, ბევრს არ ნიშნავს ეს. კიდევ?
ხო, ოდნავ დავემსგავსე ადამიანს. აა, ხოო, მეტად გავხდი. განა, ეს არაა ფერიცვალება?!
სულიო, მეტყვი ახლა...
ხორციელიაო ეს.
მაგრამ სისუსტე ხომ სულზე მეტყველებს.
სევდას იტვე, იტვე და მერე გწავს...
მეტო — კიდევ მეტყვი.
ხოო... არ ვიცი.
გათენდა...
დგები.
იცვამ.
დღეს კარგი დღეა!
ფერიცვალება ხატვას მერჩივნა, სველი ფუნჯი.
ბოლო ნამით გაერეცხა და ახლა თავადვე ელოდა გაშრობას, სხივები ხარბად დაჰნათობდა ტილოზე აღბეჭდილ ათას ფერს...

შრებოდა ტილო... შრებოდა ბუნება.

ფერიცვალება...
და თვალი გამეცქია იმ დახუნძლული ხეხილისაკენ, კოპნია გოგოებივით რომ შეუღებავთ ცალი მხარე.
ვიგრძნო ფერიცვალება ყოველივე უსულოს ირგვლივ.
ვიგრძენი მე?!
მან?! მათ?!
არ ვიცი.
ჩავიცივი.
თავსაფარს ვიპურავდი, რომ ფუნჯს ჩემი თმა შეუღებავს.
თუმც ფუნჯს არა, ფერიცვალებას.
დღეს ფერიცვალება...
და მეც მეცვალა ფერი...
მაგრამ, ნუთუ...
ჯერ ხომ არ...
თუმცა მარტო სიბერის ბრალი როდია იგი.
ავლელი...
კარგი რა, მორჩი!
დღეს ფერიცვალება...
დაივიწყე.
ამაოა დიდად, თან თეთრი ფერი უფლის ფერია.
მორჩი დღეს მაინც, კმარა.
ამაოება...
ტაძარს მივადექი.
ზარი ისეც რეკდა.
წირვა იწყებოდა...
ხვალ შესაძლოა, დეპრესიას მოვეკალი, მაგრამ დღეს არა!
დღეს სიხარულს ვგრძნობდი, მაგრამ, აი, ამ სიხარულშიც კი მივხვდი, როგორ შეცვლილვარ თურმე.
ტაძარში შევედი, იქ ისეთივე ფერები იყო, როგორც ნუხელ ფერიცვალების დადგომამდე ცაში.
წირვას ჩავუღრმავდი... და დასასრულს ისე მიუახლოვდა, ვერც ვიგრძენი, ზიარების ხანგრძლივი რიგი იდგა.
არ ეჩქარობდი.
ბოლოს ორნი დავრჩით.
ამბონის მიუახლოვდი.
წინ ერთი იდგა.
და მან უცებ წამიერად, ღვთის დიდი შიშითა და მოწინებთ, მოძღვარს საბარძიმე კოვზი გამოსტაცა და თავადვე ეზიარა.
ყველაფერი წამებში მოხდა, ცარიელი კოვზი კი სტიქაროსანს ხელში ისე ეჭირა, გეგონებოდათ, ვინმეს უნდა ესროლოსო. მოძღვარი დუმდა. სამაგიეროდ, ცხვრები აჩოჩქოლდნენ. ბაზრის ხმას ჰგავდა ყოველივე.
რა მოხდა, მამაო?! — თავი გამოიღო მრევლმა.
მას ჰკითხეთო და მოძღვარი ისე მიიმალა, თვით ღმერთიც კი ვერ გამოიყვანდა საკურთხეველიდან.
მაგრამ... ჩემი ზიარება.

ეზოში ხალხი ირეოდა და ყმანვილისგან პასუხს ელოდა.
მამაოს როგორ აკადრეო, მესმოდა ხმები.
ახალგაზრდა ბრბოში იდგა და მისი ერთადერთი მიზანი მათგან თავის დაღწევა იყო.
რატომ გააკეთეთ?!
ყმანვილი დუმდა...
ბოლოს იღრიალა.
მომცილდით!
მას კითხეთ, მან ყველაფერი იცისო.
ეს „მან“ ალბათ მღვდელი იყო.
არ ვიცი, მაგრამ ცხადია, დაეინტერესდი.
მრევლი მამაოსკენ გაემართა.
ამ დროს კი ყმანვილმა ტაძრის ეზო გადაკვეთა.
გავეცი მეც.
და ყმანვილთან ისე აღმოვჩნდი, ვერც გავიარე.
შემომხედა.
მიცნო, ვიგრძენი.
ფერიცვალეობას გილოცავთ-მეთქი.
დუმილი ჩამოვარდა.
შენც იმ ცნობისმოყვარეებში ერიეო? არა-მეთქი... ვიცრუე...
ჩაფიქრდა...
მამა, ოდნავ განსხვავდები ალბათ მათგანო.
ჯერ ის უნდა ვიცოდე, ასე რატომ მოიქეცით-მეთქი...
ცოტა ხნით დუმდა... შეხედეო ტაძარს? — მკითხა.
კი-მეთქი.
მერეო?
რა მერე-მეთქი.
შიგნით ხომ იყავიო?
კი, შენს წინ-მეთქი.
ფრესკებს უმზერდიო?
შესვლისას შევავლე-მეთქი თვალი.
მერეო?
დავიბნინე...
ახლა ეს გამოცდას თუ მინცობს, სად რა იყო გამოსახული, გაუფრენია-მეთქი.
ნუთუ მხატვრობა არ შეგებრალო?!
რა ჭირს მხატვრობას ჩემი შესაბრალები?!
ძველი კი არის, მაგრამ... ტაძარიც არაა ახალი-მეთქი.
ვერ მიმიხვდიო, ხელი ჩაიქნია.
რას-მეთქი?
მოსპო იმ კაბოსანმა ფრესკებიო!
ბუხრის კვამლი შემალო წმინდანები.
ახლა კი მივხვდი, რას გულისხმობდა.
ტაძარი იმ შავ ღრუბელს ჰგავდა... ნუხელ რომ მგლოვიარესავით უცქერდა დედამიწას.
რა მოხდა-მეთქი, დანვრილებით გამოვიკითხე.
ტაძრის შესასვლელში ბუხარია... იგი ვნებს მხატვრობასო.
ავლელი. მახსოვს, პირველად როგორ აღფრთოვანდი ამ მხატვრობით.
დღეს უწინდელივით ველარ მომხიბლა, თუმც ვერ მივხვდი — რატომ.
შეხედეო გაშავებულ ფრესკებს.
როგორ მოამზადესო ქრისტე ფერიცვალეობისთვის ამ დღეს...
ვინ, ვინ გააკეთა-მეთქი.
კაბოსანმაო — მიპასუხა.
ნებართვა-მეთქი?
მასზე ზედმეტმა კაბოსანმა მისცაო.
რატომ-მეთქი?
სიბნელემ წალეკა ყოველივეო, მიპასუხა.
მთაზე ასული ათასფრად ფერშეცვლილი ქრისტე ჭვარტლით დაფარეს უღმერთოებმა.
ულმერთო... ვიუცხოვე.
მაინც ცუდად მომხვდა გულზე.
ნუთუ ვერაფერს გავხდებით-მეთქი.
გაცივინა...
ვერ ხედავ, რამდენნი არიან... ყველას მისი ანაფორის ნაგლეჯი მოსავსო...
მამა, ქრისტე ფერიცვალეობას მის ტაძარში ბნელშია-მეთქი.
ამოიხრია.
ეტყობოდა, საუბარი არ სურდა.
დავიღალეო...
მგონია, სხვა ენაზე ვსაუბრობ, რომ ვერავის ვაგებინებო.
ამ ტაძარში დადიხარ-მეთქი?!
ახლა კარგა ხანია, აღარ ვყოფილვარო.
აქ თუ საერთოდ-მეთქი?!
გაცივინა.



„რადგან როდესაც ვამბობ „თოვლი“ —
მე ვგულისხმობ მუდამ სიყვარულს...“
თამაზ ბაძაღუა

ამბავი, რომლის მოყოლაც მინდა, ჯერ არ მომხდარა,
მაგრამ მჯერა, რომ მალე მოხდება,
ან მინდა, მოხდეს,
ზუსტად ისე, როგორც ამბები,
ჯერ რომ მოვყევი და მერე მოხდა...

*

ვხედავ, მაგნიტის კაბა მაცვია და ვერ ვიხსენებ,
როდის ვიყიდე,
არადა, ჩემი ყველა კაბა მახსოვს და მიყვარს.
ჩვენი კაბების დავინყება ხომ
საყვარელი კაცის დავინყებასავით ძნელია,
მაგრამ ამ კაბას ვერ ვიხსენებ, რა ვქნა, არ მახსოვს...
ჩემი არ არის...
მივდივარ...

ვიკრავ ასფალტების და სახლების მტვერსა და ტალახს
და მეშინია, ერთჯერადი პარკებით არ მომენებოს
დალილი სხეულზე საფლავებიდან
გამოქცეული მკვდრების გვამებიც,
მაგრამ არ იკრავს ჩემი კაბა არავის სიკვდილს,
მას უნდა, მხოლოდ ჩემს სიკვდილთან მიმაქანოს და
სამუდამოდ მიმამაგროს მის რკინის ზურგზე,
მაცივრის კარზე მინებებული სუვენირით.
ბორკილებს მადებს
და თვალახვეულს დიდ ხანს
არ მტოვებს არც ერთ მგზავრთან,
გზად რომ მხედებიან...

არიან, განა არ არიან ამ გზაზე „სხვები“,
მაგრამ დიდ ხანს არავისთან აღარ ვჩერდებით,
შეჩვევა, ნდობა და სიყვარული რომ გამოვრიცხოთ.
მინდოდა, განა არ მინდოდა შემომხეხრება,
ნაგვის მანქანას ნაგავსაყურელზე წაელო
და იქ დაემარხა...

გამვლელებსაც ვეკითხებოდი,
ხომ არ იცოდნენ, სად იყო ხერხი —
მათ არ იცოდნენ, ან იცოდნენ და არ ამბობდნენ...
მერე თოვლი წამოვიდა ზაფხულის ციდან
და ამოქოლა ხორკლიანი შავი ფორები
ჩემს ზედაპირზე.


სიკვდილის მიზიდულობის უნარდაკარგული
მხოლოდ თოვლისფერ კაბას ვხედავდი,
სიკვდილი კი — ჩემი მეორე ნახევარი —
სულ რომ მელოდა,
სულ რომ ველოდი,
მაშინვე ჩაქრა ლამპიონით —
მზის ამოსვლისას მზის ჩასვლამდე
რომ ხუჭავს თვალებს.

ზურგი მაქცია, ის ბავშვებიც ამოახველა,
სულ რომ ვაჩენდი
და ვერც ერთხელ ვერ გავაჩინე
და სათითაოდ დამიბრუნა ფანტელებით,
გახელილ თვალებს რომ მივსებდნენ თბილი შეხებით.
მე კი ვავჩერდი...
და იმ წამიდან ყველას ვხედავდი, ვინც მიყვარდა,
ვისაც ვუყვარდი,
აქვე ყოფილან, ჩემთან ახლოს,
იმაზე ბევრად ახლოს მდგარან, ვიდრე მეგონა...
და ახლა ყველას ერთად გვათოვს და ერთად გვცივია...
და ვემსგავსებით კანადურ ნაძვებს —
გადათოვლილი სახეებით და თეთრი თმებით,
ჩვენს გარშემო კი ნაძვების ტყეა.

P.S. ეძღვნება ჩემს ნაძვს,
ერთადერთ ხეს, რომელიც დავრგე და
ისიც მალევე გახმა,
მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს.

ერთი აგვაპი ორნაირად

*
სარკის ხუფი ეხურა
ჭუჭყისფერი წყლით მუცელგაბერილ ტბას.
არასდროს მდგარხარ ერთი ხელის განდევნაზე,
მაგრამ ყოველთვის ვპოულობდი ძალას,
ხელები შენამდე დამგრძელებოდა...
შენ არაფერში გჭირდებოდა ჩემი ხელები,
მარტო საკუთარი კედლების ჩამოშლა გტკიოდა.
გეშინოდა, სიკვდილს ნანგრევებში არ გამოემწყვდიე.
მე კი ისე მინდოდა გადარჩენა —
ჩემიც და შენიც.
და გთხოვე:
— ერთხელ მაინც დამიძახე!
მერე რა, რომ არ გჭირდები!
არ დამიძახე...
არ გინდოდა...
ალბათ, ვერ შეძელი...
ალბათ, მარტო იმაზე ფიქრობდი,
ტბისთვის როგორღაც სარკის ხუფი აგეხადა
და შენი ცხოვრება მის ჭუჭყისფერი წყლით
გაბერილ მუცელში გადაგეხადა.
არ ეხსნება-მეთქი, ამ ტბას ხუფი,
დედამინაზე არც ერთ ტბას არ ეხსნება,
სულ ტყუილად ცდილობ,



**სოფო
წულიაია**

უაზროდ ჩაძახებულ ბგერებსაც უკან ამოგძახებს და
საკუთარ თავსაც უკანვე დაგიბრუნებს-მეთქი...
ძნელია-მეთქი, მარტო საკუთარი თავი გეყოს
და ისე გადარჩე.
ვიცილი, რომ მეც არ გეყოფოდი,
მაგრამ მაინც ასე გითხარი...
მე მქონდა გადარჩენის შანსი —
გადავრჩებოდი, ხელი ერთხელ მაინც
რომ გამოგეწოდებინა.

ახლა იზამ?
უკვე გვიანია;
რატომ დაიჯერე,
რომ ტბებს ხუფები არ ეხდებათ...
ჩემმა ფრჩხილებმა იმაზე მეტი შეძლეს,
ვიდრე მეგონა... წყლად ვიქეცი.
სიღრმეში არ ყოფილა ისეთი ბინძური,
როგორც ზედაპირზე ჩანდა.
არ მეგონა, სიკვდილი ასეთი ღრმა თუ იქნებოდა.
გული დაგწყდა, რომ იქ აღარ დაგხვდი,
სადაც სულ გხვდებოდი?!
რატომ გეგონა, რომ სულ ასე იქნებოდა?!
მე ხომ გითხარი,
დაეყრდენი-მეთქი, ჩემს გაბზარულ ძვლებს,
როგორც ყავარჯენებს,
დაეყრდენი-მეთქი თუკი ოდნავ მაინც გეიმედება,
დაეყრდენი-მეთქი, თუ გინდა, რომ გადარჩე.
რატომ დაგავიანდა ასე ძალიან?..

*
სიკვდილი იყო იმაზე თეთრი, ვიდრე მეგონა
და არ მომიინდა გლუვ სითეთრეში ჩუმი სიკვდილი.
ყველაფერი კი იმით დანდნო, რომ გარეთ თოვდა,
ნაგვის მანქანა ეზიდებოდა ყინულის გვამებს,
ჩახერგილ გზებზე და ყველა კართან თოვლი ეყარა,
ჩემს ნაფხურებს მკლავზე იხვევდა,
გზებს შემშრალ ნაძვებს
კი დაუნდობლად ხვეტავდა და
ცაში ისროდა.
ქალაქი ჰგავდა ცივ რძიან ყავას —
მწარეს, უგემურს.
შიშველ კორპუსებს აღენავდნენ ქარები სირცხვილს,
ვისაც ველოდი, ყველამ ერთად დაიგვიანა
უცხო ქალაქში.
დარაბებიდან ვუმზერდი სიკვდილს.
სიკვდილი იყო იმაზე თეთრი, ვიდრე მეგონა.
არ გავყვებოდი, ასე რომ არ დაგეგვიანა.

ნითელი ჭიანჭველები

*
პირველად რომ გამოჩნდნენ,
12 წლის ვიყავი,
სახეზე მონითალო კოპლები მეყარა
და ჩუმად ვტიროდი —
დიდი ხნის უნახავი დედა მენატრებოდა.
მერე შემრცხვა, რომ ვიტყვი
და მოვიმიზეზე,
საჭმელს ვერ ვჭამ,
როცა ლუკმებს ვყლაპავ,
მთელი სხეული მტკივდება-მეთქი.
ექიმი მოიყვანეს
და თქვა ექიმმა:
„როგორც სხეულს გარეთ,
ზუსტად ისე ყვავის შენიც
ნითელი ყვავილი“.

და წარმოვიდგინე,
რომ ზუსტად იმ ადგილას,
სადაც ყველაზე მეტად მტკიოდა,
ნითელი ვარდი ნელ-ნელა იწყებდა გაშლას
და კიდევ უფრო მეტად ვთქვი უარი ჭამაზე,
იმის შიშით, რომ
ნაფხვენები და ნაფხვენები
ყუმბარებით არ დახეთქებოდა თავზე,
ნანგრევებში არ მოეყოლებინა ჩემი ყვავილი.
მარტო წყალს ვსვამდი,
დაჭკნობისგან რომ გადამერჩინა.
და რამდენიმედღიანი შიმშილობისა და
მაღალი სიცხების შემდეგ,

დედაჩემის მაგივრად,
რომელმაც ვერაფრით მოახერხა ჩემთან ჩამოსვლა,
ისინი მესტუმრნენ —
ნითელი ჭიანჭველები.
თვალგახელილ მეძინა და დავინახე,
როგორ ცდილობდნენ ჩემს გარშემო
თეთრ სუდარაზე სისხლისფერი წრე შეეკრათ.
ისე მინდოდა,
ნასულიყვნენ,
მაგრამ ოდნავაც არ ჩქარობდნენ,
მერე კი ერთმანეთის მიყოლებით შემოლაგდნენ
ჩემს სხეულში.
დილით ონკანიდან მოშვეტულ წყალს
მოვუყევი ჩემი უცნაური ამბავი.
მოყოლის დროს თვალებს დაბლა ვხრიდი,
ნითელი ჭიანჭველების შადრევანი
რომ გადმოყრილიყო,

ცვიოდნენ კიდევ და ფოიერვერკით
ნაპერნკლებს ყრდნენ ნიჟარაზე დახეთქებისას,
მაგრამ ძალიან ბევრი იყვნენ
და წყალმა ვერაფრით გაიყოლა მათი სიმრავლე.
შემემლო, მტკვრისთვის გამეყოლებინა,
მაგრამ ვერ გავიმეტე და დავიტოვე...
თუმცა, იმ დღიდან იმდენად დიდ ხანს
აღარ გამოსულან სამალავიდან,
სულ დამავინყდა მათი არსებობა,
დამავინყდა, ჩემში ზუსტად ისე რომ ცხოვრობდნენ,
როგორც ბუდემი.

*
მეორეჯერ როცა გამოჩნდნენ,
უკვე დიდი ვიყავი,
ჩემს თავზე და ჩემს ცხოვრებაზე ბევრად დიდი.
და ვხედავდი,
როგორ შფოთავდნენ თავთან დაკიდებულ წვეთოვანში
მათი ნითელი სხეულები,
ბაფთიანი ნემსის საშუალებით
ისევე ჩემში შემოღწევას რომ ცდილობდნენ,
თითქოს, ახალი სიცოცხლის გადასხმას მიპირებდნენ.
და ისე მინდოდა,
ყველასთვის მომეყოლა ჩემში სამუდამოდ ჩალექილი
და ჩაკირული ნითელი ჭიანჭველების ამბავი,
მაგრამ ვიცილი,
არავინ დაიჯერებდა,
ამიტომ სამუდამოდ დასაღუმებლად
პირი მათი აგურისფერი სხეულაკებით ამოვიქოლე.
და იმ დღიდან მარტო იმას ვყვები,
რისი დაჯერების ძალაც შემრჩა
და ჯერ კიდევ აქვთ ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებს,
ამიტომ ყოველ დღე მარტო იმაზე ვყვები,
როგორ მიყვარდა
და როგორ არ ვუყვარდი,
როგორ მენატრებოდა
და როგორ არ ვენატრებოდი,



გიორგი კახიშვილი

როგორ დამტოვა და როგორ არ მინდოდა, დავეტოვებინე, როგორ დავილაღე და როგორ არ მინდოდა, დავლილიყავი, როგორ მეტყინა და როგორ არ მინდოდა მტკენოდა... და ხშირად ვამბობ: — არ არსებობენ წითელი ჭიანჭველები! არადა, ხომ ვიცი, რომ არსებობენ, მართლა არსებობენ და ყოველთვის იარსებებენ, უბრალოდ დამავინწყდა, როგორ უნდა დავინახო, იმიტომ, რომ ახლა ისე ვარ და ისეთი ვარ, მარტო ფრჩხილებზე კოხტად წასმული სისხლისფერი ლაქის და ტუჩებზე თხლად გადასმული ყოლოსფერი პომადის დანახვა შემიძლია.

*** სასამართლო დარბაზის ვიწრო მოსაცდელში გვერდიგვერდ სხედან მისი შვილები და დაძახებას ელიან. იციან, რასაც ჰკითხავენ, ისიც იციან, რა უნდა თქვან ყველას წინაშე: რომ მამა არ სვამს, საერთოდ არ სვამს და არასდროს უპოვიათ საყინულეში შესვენებული არყის ბოთლები,

ზოგჯერ რომ ერთმანეთის მიყოლებით ფეთქდებოდა... მე რე კარაქს, ძეხვსა და ქათამს მომწარო გემო დაჰკარავდა და ხშირად ყინულზე, ხანაც მეთლახზე ყინულმჭრელი გემებივით დასრიალებდნენ სხვადასხვა ზომის შუშის ნაჭრები...

მე რე ჰკითხავენ: ვის აირჩევენ — დედას თუ მამას?... დედა ძალიან ლამაზია, ახლახან ნახეს, მის ფერად კაბებს ჯერ კიდევ შერჩა წარსულის სახე, წარსულის, წასვლით რომ დამთავრდა. რატომ ნავიდა, არ იცოდნენ ბავშვებმა, მაგრამ ის კი იცოდნენ, რომ იმ დღიდან მათ არც ერთ ამბავს მამის გარეშე არ ჩაუვლია... არ მომხდარა არაფერი მამის გარეშე... ამიტომ მამას წარსულის გემო კი არა აქვს, მამა ანმყო.

და სწორედ ამ დროს, როცა შვილები მოსაცდელში ელიან პასუხს, ის სასამართლო დარბაზში ზის, თითებს ანვალებს, თან ისმენს, როგორ ანაკუნებენ და წვენსაწურში ატარებენ მის ცხოვრებას, ჩავლილს, ნანამებს... ესმის, რომ ყველა მეზობლის ქალი: „ბავშვობიდან კეთილი იყო და როცა ხალხი პურის რიგში ტალონით ხელში ერთმანეთსაც ნელ-ნელა ჭამდა, ჩუმად იდგა და ყველას თავის ადგილს უთმობდა... და როცა ბოლო მიდიოდა, არ იყო პური და სახლში ჩამოუჭრელი ტალონებით სავსე ჩანთა მიჰქონდა მხოლოდ... და როგორც მამაც, მზრუნველია, მარტო ზრდის შვილებს“... ისმენს...

თან ხედავს — როგორ ცვივა თვითმფრინავიდან ბავშვების წვიმა, ტყვიებს ესვრიან და ერთმანეთის მიყოლებით ალაგებენ ვიწრო დარბაზში სისხლიან გვამებს, და ეძებს კიბეს, რომ მიადგას თვითმფრინავამდე და ყველა კიბეს საფეხურები მოხუცი ქალის კბილებივით ჩამტვრეული აქვს...

და ისე უნდა, ყველა გაჩუმდეს, ყველა გაჩერდეს... ყველა დადუმდეს... თვითონ მივიდეს ბავშვებთან და ხმამაღლა უთხრას: „სისხლი გუბდება, მაგრამ მალე წამოვა თოვლი, გვამებს დაფარავს... კი აღარ გაფხართ ჩემს ხელში მოვლილს, მაგრამ მე სანამ დავამარცხებ სიკვდილის აჩრდილს, ეს სახლი ჩვენია, ეს სახლი თქვენია, ნუ ნახვალთ, დარჩით...“

*** „შენი სიტყვები ჰგვანან მეომრებს...“ თამაზ ბაძალუა

„ჩემი სიტყვები ჰგვანან მეომრებს“ — ვყვირი და ხმას ვერ ვანვდენ შენამდე. აჰა, ყვრილმანი, აჰა, მეორე, იჯერე გული, ხელი შემართე.

თქვი, რაც გინდოდა და მოათავე დაცემა ცუდი ზნისკენ კარგიდან, ოღონდ ნუ იტყვი, რომ შენი თავი ლექსების წერამ დამაკარგვინა!..

*** მე დაგკარგე სულახლო და სულმნათი, გაქრა რიცხვიც მნახველთა და ნახულთა და ოთახში ჩვენი ფოტოსურათი ჩემი წასვლის მიზეზივით გახუნდა.

აღარ ისმის არსაიდან კამათი ჩვენი საქმის დღენიდაგ გამრჩევთა... ჩემს მაჯაზე შენი მაჯის საათი, ავისმომასწავებელად გაჩერდა.

მერაყიფე

რატომღაც გვიან შევნიშე, რომ ცა გაშრა და მაინც წვიმა მოვიდა. რთულია, ქალის გული წყვეტს როცა, რომელი ერთი მძლეობს ორიდან...

რთულია... ვამბობ და მერაყიფეს, შურის თვალებით ვუცქერ შორიდან და გახელებულ ტკივილს აყვავებს წვიმა, რომელიც თვალზე მოვიდა.

*** თუმცა უკადრი საქმე იკადრე, რომლითაც ყველა ზღვარი უქმდება, არ გაქვს უფლება აღარ გიყვარდე, აღარ გახსოვდე — არ გაქვს უფლება!

როს მე სინანულს ღამეებს ვუთევ უსასოებო, მძიმე, უსახო, როგორ ახერხებ ბედნიერ ნუთებს დავინყებამი გადაუძახო?..

*** ცისიურობას ციურ ითავსებ, ყველა ნათელზე ნათლად იელვებ. შენ გტანჯავს შენი სულის სისავსე, მე — ჩემი სულის სიცარიელე

და მიმოვდივარ მძიმე იერით, მიმომაქვს სული ყრუ და ბოგანო. შენ მავსებ, მე კი სიცარიელით მაღლის ნილ მაღლი როგორ მოგაგო?

არშრუს

ღამე სასთუმლად დაეკალ-ნარობს, შორს ვხედავ ვარსკვლავს, ფერდებჩამოთლილს. ამქვეყნად იმდენ რაიმეს ვნანობ, სურვილი მქონდეს, ვერც კი ჩამოვთვლი.

შენი ევნოც სხვა გზებით მიდის და ეჭირება სულს ცოდვის ქანჩი... მითხარი, როგორ შევუნდო სინდისს, რომ შენს თეთრ სულზე შავ ლაქად დავრჩი?!

რამდენი სევედა-დარდი დაგრჩა გულს, ვით დათმენდა ამდენს სხვა გული? შეგიბრალებდი, მაგრამ დაჩაგრულს ვერ შეგიბრალებს უფრო ჩაგრული...

არ მოახურო თეთრ სულს ფარაჯა, გაუღე გული მიღმურ დღეობებს. ვინ იცის, ბედმა სწორად განსაჯა, როს დაგვაცილა ერთიმეორეს.

სუპერპია

იმედებით ანმყო არ მომეახლა. ყოველი დღე მამხობს და მშობს ხელახლა.

ასე მკითხე: „რად არს ქვეყნად ბოროტი?“ და დაემჩნა ლადარს ცრემლი ორობით.

გიპასუხე: „გთრგუნავს ჩემი სიდიდე, მცირე დიდში მტრულად ფეხს ვერ იკიდებს.“

მცირემ უნდა ზიდოს თავის სიმცირე. „xΠῖνί áιδῶ :Πῖνῖν“ ასე ვიცი მე

და თუმც გამოგ ზარდე, თუმც დაგაქალე და თუმც შიშის ზარზე აღარ კანკალეებ,

თუმც განახე რიცხვი ბრიყვულ „იზმების“, შენ თვინიერ რისხვის არ რა მიძლენი“.

გვერდით მრჩება ნიცშე, კანტი, ჰუსერლი და ტრიალებს ისევე ეს კარუსელი:

იმედებით ანმყო არ მომეახლა. ყოველი დღე მამხობს და მშობს ხელახლა.

*** ეძიებდი და კიდევ შევნიშე სივრცეს ცრემლიან ნავსაყუდართა. ახლა კი, როცა ლექსს წერ შენობით, ან ღმერთს მიმართავ, ან საკუთარ თავს.

დაიწყო, ტკივილს ტკივილი მიჰყვა, გაქრა სამყაროს მკრთალი სიღურჯე... ბანზე ავიგდეს სწორედ ის სიტყვა, სულში რომ მხოლოდ ერთხელ იუნჯებს.

გემართლებოდნენ: „თუ პოეტი ხარ, თუ სხვაზე „ერთი ცრემლით მეტი ხარ“ თუ ცოდვილთა აპოლოგეტი ხარ — ორიოდ სიტყვით: — თუკი ღმერთი ხარ

ჩამოდი შენი კუთვნილი ჯვრიდან, ჩამოდი, თუ გსურს, რომ გინამოს სხვამ“, მაგრამ რთული გზის ძიება გრჯიდა და არ ისურვე ჯვრიდან ჩამოსვლა.

სულს კი ჭრილობა ვერ მოუშუშე: ხედავდი სფინქსებს, პირქუშ გორგონებს და შენი სულის მაღალ უფსკრულში წარბშეუხრელად მოიგოლოგოთე.

ეძიებდი და კიდევ შევნიშე სივრცეს ცრემლიან ნავსაყუდართა. ახლა კი, როცა ლექსს წერ შენობით, თან ღმერთს მიმართავ, თან საკუთარ თავს.

*** თუმცა არ მქონდა არასდროს შიში მოირათა და შორსმოისართა, ვერც კი შევნიშნე, სიკვდილზე ფიქრში სიკვდილი ისე ამოიზარდა.

მოირათა და შორსმოისართა თუმცა არ მქონდა არასდროს შიში, სოფელმა ჭირი ჭირს მომისართა და დამამჩნია არყოფნის ნიში.

*** მე დაგანახე ვარსკვლავთა ცვენა ნესტანის ცხრავე ზეცის გადაღმა. შენ გაგაოცა, რომ ჩემმა ცრემლმა უფლის ნაწერი ბედი გადაღბნა,

მაგრამ ვგრძნობ, ვიდრე ტკივილებს მოშლის გულწრფელი ცრემლით გულწრფელი კრძალვა, ბინას დამიდებს ოდინდელ თოვლში პრეოდინდელი ტკივილის ძალა.



მადონა გვეხედვით ფერიცვალება

დასასრული

მიმიხვდა, მაინტერესებდა, მიტოვებული ჰქონდა თუ არა ეკლესია, როგორც მრევლს.

არა, არ მიმიტოვებია. აქ ვეღარ დავეტიე უბრალოდ. ღმერთი სხვაგან ვიპოვე. და დღეს-მეთქი... დღეს ფერიცვალებაა. შენო, მითხრა ბოლოს. აქ მეორედ ვარ-მეთქი. დამემშვიდობა. მინდოდა, მესაუბრა, მაგრამ მძიმედ იყო დიდად. ნამოვივდი. გზად ისევ ტაძარი უნდა გამეველო. ეზოში შევიარე, იქ ისევ ირეოდა ხალხი. შიგნით შევედი. ელდა მეცა... მეგონა, აქამდე ბრმა ვიყავი და ახლა ამ ყმანველის წყალობით დამბრუნდა ხედვა.

ერთი წლის წინ სხვა იყო-მეთქი. ქრისტეს შეხედე. გაჭვარტლული ძლივსლა მიმზერდა. ავტირდი... ქრისტე, რა დამგართეს-მეთქი. პასუხი ვერ გამეცა, მხოლოდ დიდი წყლიანი თვალებით მიმზერდა და თითქოს კვამლისგან ახლაც ენვოდა — ლამისაა დიდი გორგალი მოსწყდეს და წყაროდ დაედინოს კედელს...

ღმერთო, შენი ხელთუქმნელი თვალები ადამიანთა უგუნურებით ახლა ცრემლით იყო სავსე. ქრისტე, რა დაგიშავეს-მეთქი?! ისევ დუმდა... ქრისტე მაგალითი იყო იმ შეურაცხყოფელ წუთებშიც კი ჩვენი. საკურთხევილიდან ხმაური გაისმა. შემეშინდა. შემდეგ დედა ღვთისას შეხედე. იგი იმ წამს შვილზე მეტად საბრალოდ მომეჩვენა.

დედა, დედა, ღვთისა! შენიც-მეთქი? ისიც დუმდა... თითქოს ის ჭვარტლი ახლა მისთვის მსუბუქი იყო ყოველივე იმის მერე, რაც გაგაკეთეთ.

და გამახსენდა წუხელ ის შავი ფერი ცაზე, შავი მგლოვიარე ზეცა. მგლოვიარე დედას ჰგავდა იმ დღეს ღვთისმშობელი. დასტორიდა ალბათ ტაძარში მოზარეთ და მის გასწვრივ გაჭვარტლულ, ჯვარცმულ ყრმას... აღარ შემეძლო... ვეღარ დავიტიე. საკურთხეველში შევევარდი. მღვდელი იჯდა და სიტყვობებს შეექცეოდა. ვერ ავიტანე და თითქოს ღმერთმა მიხსნა.

გარეთ გამოვვარდი. ფერიცვალება იყო... და დღეს უნდა ვზიარებოდი... არც გამახსენებია. ღმერთი!

ფერი იცვალა ქრისტემ სინათლისკენ. ფერი იცვალა ბრბომ სიბნელისკენ. დავფიქრდი... რამდენი ეზიარა იმ დღეს ტაძარში! რამდენმა შეჭვალა შავებში შემოსილი ქრისტეს ბნელი თვალებით, თითქოს ძვირფასი გაეკეთებინოთ რამე. რას ფიქრობენ ნეტავ?! რა ედოთ გულში?! ვაიმე, შევიშლები, და უცებ ავტირდი. დღეს არ მინდოდა ზიარება... აქ. მეც ხომ იმ ბარძიმის წვერი ვავხედებოდი, რომლის მრევლი ყოველდღე ჯვარს აცვამდა ქრისტეს და უცებ ვიგრძენი, რომ ამ ორიდან, ვინც შოისან დედა ღვთისას შეესტროდი, იმაზე მეტად ვიცვალეთ ფერი, ვიდრე მათ.

მაგრამ ვინ იცის, ეს ფერიცვალება იყო კი ბედნიერება?! თუ სინათლე ბედნიერება, მაშ რატომ არაა?! მაგრამ სინათლე ყოველთვის როდი ნიშნავს ბედნიერებას. მივხვდი, რომ იმ დღეს მარადიული ტკივილისკენ ვიცვალე ფერი დედამინაზე.

ერისი სოფლური ცხოვრებისთვის — რომა — მისი ძმა იყო და მისი გულისთვის ცეცხლში ჩადგებოდა, წყალს გაჰყვებოდა, ქვესენელში ჩავიდოდა და საიქიოსაც გადასწვდებოდა.

რომა ამ ფიქრებს ვერ გაიგებდა და არც დათას შემოხედვა დაუნახავს, ჩაკუნტულიყო და სახეზე წყალს ისხამდა. წყალში ისე ჰყოფდა ხელებს, თითქოს ეშინია, რამე არ ვატყინოო.

დათა უკვე მთავარ გზაზე იდგა. ქვემოდან კოლმეურნეობის მანქანა მობლოდა. კოლმეურნეობისა კი ერქვა, მაგრამ ნესვიკოლიასი იყო, როცა უნდოდა და სადაც უნდოდა იქ დადიოდა ამ მანქანით. ახლაც ფერმიდან მოდიოდა. იქ ერთ ცალხელა მწყემსთან ძმაცაცობდა, დაკრავდნენ სამ-სამს და მერე კოლია სახლში მიდიოდა. ცოლმა მაგისი ზნე იცოდა. იცოდა და მაინც ერთსა და იმავეს ეუბნებოდა — რა აღარ დაგადგა საშველი, რთ ვერ გაძლა შენი მუცელი, ხო არ დაგავინწყდა, კოლმეურნეობის მანქანა როაო; კოლიაც

ამირან ბასილაშვილი ძმები



ყოველთვის ერთსა და იმავეს პასუხობდა — ერთი შენიც და ერთი კოლმეურნეობისაცო.

გზის პირას ჩამოკრევივებულ ბიჭებს მანქანა უახლოვდებოდა. ძია კოლას გააჩერებდნენ და ძარაზე შეხტებოდნენ. დათა და რომა კი კაბინაში ჩასხდებოდნენ. ნესვიკოლიას უყვარდა ეს ბიჭები. „მე და მამათქვენი კლასელები ვიყავით“ — იტყოდა ხოლმე და ხან რას განიხსენებდა ბიჭობისას და ხან — რას.

„სიცოცხლე საბჭოთა კავშირის საამაყო შვილებს“ — ასე ესალმებოდა კოლა ბიჭებს და ეს ტრადიცია არც ახლა დაურღვევია. ბიჭებმა ძარაზე ასვლა რომ დაიწყეს, დათამ მიიხედა და რომა გვერდით არ ედგა, არც ძარაზე ჩანდა. ჩალიანისკენ დაფეთებული გაიქცა. რომა იქ დახვდა. დაბლა ეგდო და ტკივილისგან იკრუნჩხებოდა. რალაცნაირად ფეხი დასცურებოდა და ზურგი წალდის პირისთვის დაეკრა. სისხლი თქრიალით მოსდიოდა, დათამ სიბნელეში ვერ დაინახა, მაგრამ რომამ წამოყენებისას იგრძნო, რალაც თბილი როგორ ესხმებოდა სხეულზე.

რომა ძარაზე დააწვიწინა. დათა თავთან დაუდგა. დღეს სხვა ბიჭები ჩასხდნენ კაბინაში. რომა თანდათან უკლებდა კენესას, ჩუმდებოდა და უმოძრაო ხდებოდა. კოლიამ მანქანა პირდაპირ იოზება ექიმის სახლთან მიაყენა. რომას გონება დაეკარგა. „ფილტვს ცოტა აცდენილა, გადარჩენილია“ — თქვა იოზება ექიმმა. ცოტა ხნის მერე დათას მიუბრუნდა და უთხრა: „დედაშენთან ჯერ მე გადავალ და ყველაფერს მოვუყვები, ხვალ კი უკვე რომასაც სახლში გაგატანთ, დღეს უკე იყოს. მართალია, ჩემ ვარდა სხვა კაცს ეს სახლი ვერ გულისხმობს, მაგრამ ერთი დღით როგორმე აიტანს“. კაი კაცი იყო იოზება ექიმი. ცოლი ჰყავდა და ოთხი გოგო. ბიჭების კეთება ვერ ვისწავლიე — უყვარდა ხოლმე თქმა.

რა ჯანდაბად მინდოდა წალდი, სახლში ვერ დავავადე?! კინაღამ გაუბედურებულ დედაჩემს შვილი მოგუჟალი და თვალთ ვეღარ დავენახებო — ფიქრობდა საკუთარი სოფლიდან წამოსული და სხვა სოფლის გზას დამდგარი დათა. ერთ მენისქვილეს დაუდგა დამხმარედ. იმ ასაკში იყო, როცა აღარ იცი, ღონე სად წაიღო.

დათაც ფეკილისა და ღერღილის ტომრებს სულ სიხარულით დაარბენინებდა. მენისქვილე ქოსა კაცი იყო, დათა ვაჟკაცად მოსწონდა და თავისი კოხტა შესახედაობის, მაგრამ ცოტა დაგვაჯული გოგოს ქმრად ფიქრობდა. დათას ჯერ ამეებზე ფიქრი არ შეეძლო. ძველი რალაცები ჰქონდა დასავინყებელი.

დათა კი ცდილობდა დაეინყებას, მაგრამ ამ ერთ მუჭა ქვეყანაში განა ეს შესაძლებელია? თანაც, თუ იმისგან არც ისე შორს წასულხარ, რისი დაეინყებაც გინდა. ორი წელი გასულიყო იმ ამბიდან. შემოდგომა იყო. რთველს კარგად ჩავევლო და ახლა უკვე ღვინოს აყენებდნენ. სოფლებში ისეთი სურნელი იდგა, იქაურ ძლიერ ღვინოს უჩვევ კაცს, შეიძლება ფეხიც კი არეოდა დიდ ხანს რომ ევლო აქეთ-იქით. დათა წისქვილში იყო. ვილაცას ვირზე ტომარა გადაეკიდებინა და წისქვილისკენ მოდიოდა. რომა იყო. დათამ მოსვენება დაკარგა, აწრიალდა და მხოლოდ ის მოიფიქრა, წისქვილიდან გაპარულიყო.

ძმობა რა არის? განა ასეთი ადვილია მისი დაეინყება? დათას ეგონა მაშინ, იქ, ჩალიანში ჩამოვარდა, ძმური სიყვარულის არსი გავიგეო, ვიგო რო ნამდვილად? მან მხოლოდ აღმოაჩინა ეს გრძნობა, უფრო სწორად, სახელი მიუსადაგა, მაგრამ მისი სიძლიერისა ჯერ ვერაფერი ეცოდინებოდა. კი ამბობდა, ამას ვიზამ, იმას ვიზამო, მაგრამ, ჰა, იქ არ ვიყავით? ერთმა წალდმა ყველაფერი არია.

რატომ ნამოვიდა სახლიდან? რატომ მიატოვა დედა და ძმა? იმიტომ, რომ ბალღი იყო და სულელი. სისულელით მოუვიდა. აგე, ქოსა მენისქვილეს ძმამ, დიდი ხნის წინ, სიმთვრალეში, ყური წაათალა და დღემდე წუხს ამის გამო. „მე რო მაშინ მძღწერი ვჭამე, მაგას როგორ გამოვასწორებ, მაგრამ ამ დამპალ ქვეყანაზე ან მე როგორ ვიცხოვრო უძმოდ, ან ჩემს ძმას როგორ გავატარებინო წუთისოფელი უჩემოდ“ — უთხრა ერთხელ დათას.

„ყველა იმას იძახობდა და მეც იმ აზრისა ვიყავი, რომა უცნაურიყო, მაგრამ მეც კარგი უცნაური ვიყავი“ — ასე ფიქრობდა სიკვდილსმიახლოებული დათა. გურიიდან რომ ქალი მოჰყავდა, მართლა თავისთვის უნდოდა? ქალი გამხდარი იყო, სიფრიფანა, ზამთრის დილას ჰგავდა, რალაც არაამქვეყნიური სინყნარე რომ ახლავს თან, და ახალი თოვლის სუნი ჰქონდა. შეხედა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ ასეთი ქალი რომას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე თვითონ. წლენის წინ, ძალიან დიდი ხნის წინ, ამ გამხდარ გოგოსთან ერთად რომას რომ მიადგა და იმათ ერთმანეთს შეხედეს, არა, მაინც რა გრძნობა იყო, ერთი შეხედვით მოსული. დათა იმან გააბრაზა, მართალი რომ აღმოჩნდა, ალღომ რომ არ მოატყუა. ქალთან ერთად ამხელა გზა გამოველო, სოფელში ჩამოყვანა და ქალიც ისეთი უცნაური აღმოჩენილიყო, როგორც თავისი ძმა. რომამ, არაფერი რომ არ გამოსდიოდა ხელიდან და ვერაფერს აბამდა თავს, მართლა ღურგალი კი არ იყო, ღურგლობდა, ქალს ერთხელ შეხედა და ყველაფერი თავის ადგილას დაალოგა, მთელი თავისი და დათას ცხოვრება. ამიტომ ეცა დათა თავლას გულმოსული და რომას ცხენი წაიყვანა — ქალი შენა, ცხენი მეო.

სიკვდილით ადვილად მოკვდნენ. დიდხანს არ უავადმყოფიათ. დაიძინეს და ვეღარ გაიღვიძეს. ქელეხიც ცალკე გაუკეთეს შვილებმა. აბა, ერთად რანაირადო — ორივეს შვილები ამ აზრზე იდგნენ. საფლავებზე რკინის ტრაფარეტები დადგეს და თეთრი საღებავით სახელები და თარიღები დაანერეს.

წარწერებს დროდადრო შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები განაახლებენ. მერე კი დათაც და რომაც უპატრონო მკვდრებად იქცევიან. რკინის ტრაფარეტებს აიღებენ მათი საფლავებიდან და სხვების სახელებსა და თარიღებს დაანერენ და სხვების საფლავზე დადგამენ. იმ საფლავებზეც ეს ტრაფარეტები დროებით დარჩება. მერე კი ისევ თავიდან დაიწყება ძმობის, უპატრონო მკვდრების, უსახელო საფლავებისა და რკინის უანგმორეული ტრაფარეტების ამბავი...

ხდებოდა, რომლებსაც ახსნას ვერ უძებნიდა.

პანიკამ მოიცვა. ერთად-ერთი, რაც მოიფიქრა, დახმარების სათხოვნელად დარეკვა იყო...

ლამის პირველის ნახევარი სრულდებოდა. მკითხავის მობილურმა გაანათა. ზარს არასდროს ურთავდა ტელეფონს. არც სჭირდებოდა. ყოველთვის წინასწარ გრძნობდა, როდის დაურეკავდნენ. გაიხედავდა ტელეფონისკენ და ისიც რეკავდა. იმ საღამოსაც ასე მოხდა. ტელეფონის ძეგნა დაიწყო. რომ იპოვა, ზარიც შემოვიდა.

- რა მოხდა? — პირდაპირ ჰკითხა.
- მამალი მოკვდა.
- რომელი მამალი?
- ჯადოსნის რომ მინდოდა, ის მამალი. აბაზანაში მყავდა დამწყვედული, წყალიც ჰქონდა და საჭმელიც. მივედი და მკვდარი დამხვდა.
- არ იშლი, ხომ?! — გაიგე, რა გითხარი?! მამალი მოკვდა!
- გავიგე. არაა ეგ კარგის ნიშანი.
- რას ნიშნავს, მითხარი.
- როცა მსხვერპლი რიტუალამდე კვდება, ესე იგი, ალქაჯებმა თუ ეშმაკებმა შენი შეწირული რიტუალი არ მიიღეს.
- ანუ?
- მოეშვი მაგ საჭმელს-მეთქი, ხომ გითხარი. უკან დაგიბრუნდება.
- როგორ?
- ასე ხდება.
- როგორ? მითხარი! როგორ ხდება?
- შენ ხარ ეგ მამალი!
- ...

სირუმე დიდხანს გაგრძელდა. შიში მოერია გაბრაზებულ ქალბატონს. ფართოდ გახელილ დიდ შავ თვალებს გამალებით ატრიალებდა. სუნთქვა გაუხშირდა. გულის ფეთქვას ყელში გრძნობდა.

— აპატიე საკუთარ თავს ეს შეცდომა. სხვა ადამიანს კი არა, საკუთარ თავს მიუტევე. გათავისუფლდი დანაშაულის გრძნობისგან. შეცდომებს ყველა ვუშვებთ. შენ ცხოვრება წინ გაქვს და ნუ დაემსგავსები დაგორებულ ქვას. ერთ შეცდომას და ერთ ბოროტ ადამიანს ნუ გადააყოლებ მთელ მომავალს. გათავისუფლდი, ეკა, გათავისუფლდი. დამიჯერე. გააგრძელე ცხოვრება და ეს თავგადასავალი მიიღე როგორც გაკვეთილი. მისმენ, ეკა? — კი.

— აპატიე საკუთარ თავს, აპატიე! გულზეც მოგეშვება და სრულფასოვან ბედნიერებასაც იპოვი. არ გინდა ჯადოები, წყევლები და შეკვეთილი სასჯელები. ყველაფერი უკან დაგიბრუნდება. შენს გზას გაყევი და ნუ შეიქმნი ბარიერებს. ვიცი და ამიტომ გეუბნები. ადამიანებს როცა რამე ცუდი შეგვემთხვევა, ყოველთვის სხვის დადანაშაულებას და

თავის გამართლებას ვცდილობთ. შეცდომა, რომელსაც ჩვენ ვუშვებთ, სხვისი ბრალი გვგონია. ვერ ვეგუებით და ვერ ვპატიობთ საკუთარ თავს. ეს როგორ დაგვემართა?! ამიტომ გვინდა, შური ვიძიოთ სხვაზე და გვგონია, ამით სულიერ სიმშვიდეს მოვიპოვებთ. ასე არაა, დამიჯერე. შურისძიება დანაშაულის გრძნობისგან არ გვათავისუფლებს. სხვისი გამნარებით მხოლოდ თავს ვიმართლებთ. ვამბობთ: „აი, დავსაჯე, მიიღო, რაც დაიმსახურა!“ ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ თავი დავიმშვიდოთ, უფრო სწორად, „თვალი დავხუჭოთ“ იმ შეცდომაზე, რომელიც გვტანჯავს. საბოლოოდ კი იქამდე მივდივართ, რომ ვამბობთ: „მერე რა?!“ გადის დრო და გვგონია, დავივიწყეთ ან გავთავისუფლდით. ეს პროცესი რაც უფრო ინელეგანტია, მით მეტად ვწვავლობთ. ჯობს, შენი სამყაროდან დროულად „ჩამოწერი“ უსარგებლო ადამიანები და მათდამი გრძნობები, მერე კი სანაგვეზე მოისროლო. სწორედ ესაა პატიება საკუთარი თავის. ამიტომ გირჩევ შენც — იცხოვრე შენი თავით და შენი ცხოვრებით.

- როგორ? მასწავლე!
- გასწავლი! ხვალისგან ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყე. პირველ რიგში, გააკეთე ის, რაც ყველაზე მეტად გერთულება და რაც შეუძლებელი გგონია. ეს იქნება პირველი საფეხური. ამას რომ შეძლებ, მერე ყველაფერს დაძლე, რასაც მოისურვებ.

ეკასთან საუბრის შემდეგ მკითხავი ხელის დასაბანად აბაზანაში შევიდა. შემდეგ საძინებელში ტანსაცმელი გამოიცვალა, გრძელი შავი ქვედაბოლო ჩაიცვა. შავ მაისურზე შავი გრძელი ჟილეტი მოისხა. თავი შავი თავსაფრით შეიბურა და ფეხშიშველი გამოვიდა. დერეფანი გაიარა და პატარა ოთახში შეიკეტა. ოთახი იმდენად პატარა იყო, ადრე ალბათ საკუჭნაოს ფუნქცია ექნებოდა. მოგვიანებით უფრო მნიშვნელოვანი მიზნებისთვის მოეწყო. სამი კედელი სრულად ხატებით იყო გაფორმებული. შუაში სამების და უფლის ხატები ეკიდა, მარცხნივ — დედა ღვთისმშობლის უდიდესი ხატი და სხვა წმინდანების ჩარჩოში ჩასმული ხატები მოეთავსებინა. მარჯვნივ სრულად სხვადასხვა წმინდანის გამოსახულებები მოჩანდა.

ეს პატარა სამლოცველო იყო, რომლის შუაგულშიც მრგვალ მაგიდაზე ლოცვანი და სასანთლები ელაგა...

ქალმა ჯერ პატიება შესთხოვა ღმერთს, შემდეგ კი შეილებს სახელზე სანთლები დაანთო. ღმერთს მათი მფარველობა და შეწევნა სთხოვა...

აქ იყო მისი ადგილი. ხშირად მთელ ღამეებს ლოცვაში ატარებდა. ყოველ განთიადს უფანჯრო ოთახში ეგებებოდა მზის ამოსვლას. შუახნის ქალბატონს არ სჭირდებოდა საათი, მან ზუსტად იცოდა დრო.



ნინო ნიკლაური

სიესტა

ნამლებისა და შარდის სუნი. სანოლესზე ნარკოტიკით გათიშული, ჩონჩხადქცეული სხეულები. სკამებზე სიციხითა და ლოდინით გათანგული მთვლემარე მომვლელები. ფხიზლობენ ჭრიჭინები და გარდაცვლილი ქალის ნასასვენებლად მოსული ჭირისუფლები. თეთრ ზენარგადაფარებულ მიცვალებულს უჩანს მკვდრისთვის უჩვეულოდ ცოცხალი, ფუმფულა, ნითელფრჩხილიანი ფეხები. სადღაც ახლოს, ლიანდაგზე მიდის დატვირთული ვაგონებით აწყობილი მატარებელი. ეზოში, ნაძვის ჩრდილში, სიგარეტს ეწევა ყველაფერს გარიდებული, ლაჯებში შარვალგაცვეთილი ექთანნი.

საავადყოფოში

თეთრი ზენრები და თეთრი კედლები. თეთრ ტუმბოზე მსუქანი ჭიქა, ნარინჯისფერი ჩიტით და სალათისფერი ყვავილებით — საჭმლისთვის. მეორე ჭიქაც, დათუნიათი, წყლისთვის. სანოლთან ვარდისფერბენვიან ოთახის ქოშს კურდღლის ყურები აქვს გამობმული. ნეკს თეთრი გოგო, ცისფერი თვალებით — ცხრამეტი წლის, საცვლებზე პეპლებგაშეშებული. დედამ მოუტანა და ჩააცვა. ჭიქებიც დედამ უყიდა, ქოშიც, საცვლებიც... აიფონ ექვსიც. დედაც თეთრია, ჩაღეჭილი კანით და ჩამქრალი ცისფერი თვალებით. სოფელში ქმარი ყავს, ციხეში — ბიჭი. სასამართლოს ელის. თბილისში ქირით ცხოვრობს. ღამით საჭმელში აზელილ ჭურჭელს რეცხავს ბრჭყვიალაჭალიანი რესტორნის სარდაფში. ხელები ეხარშება ცხელ წყალში და დღე კანი სძვრება. ამ ხელებით ეფერება ახლა შვილს ქერა თმაზე. მესიჯობს გოგო... ის სანათესაოდან ერთდერთია, ვინც უმაღლესში ჩააბარა. სამართალს სწავლობს და იცის, არასდროს ექნება დედის-ნათის თვალები!.. დედამ იცის, შვილს საკვერცხის კისტა



გაუსკდა, რომელიც არასდროს ანუხებდა და გადაურჩა... ექიმმა იცის, გარეორსულობის ოპერაცია გააკეთა და გადაარჩინა... მამა სოფელშია და არაფერი იცის...

ვაჟასთან

ვაჟას ღარიბ სახლში ვზივარ, ვაჟას ტახტზე... შემოსვლისას ორი პატარა გოგო სელფს იღებდა. არ მოსწონდათ თავები და წვალობდნენ. „ნამო, გარეთ გადავიდით, ფუ, რა სუნი, სად მოვედი!..“ ყვითლად აყვავებულ ეზოში გავარდნენ. ვაჟას სახლში დგას სუნი მინის, იდუმალების... გოგოები და ბიჭები შემოდინ ფოტოებისთვის და გარბიან უკან. ვაჟას სახლში დგას სუნი.

ყაზბეგთან

ალექსანდრე ყაზბეგის სახლის ქვედა სართულის ერთ-ერთი განაპირა ოთახის ჭერი გამჭვარტლულია. წინათ აქ სამზარეულო იყო. ახლა კი მის კედელზე ჭრულყვავილებშერჩენილი გობელენია გაკერიული. სულს სინათლეში და ნესტის სუნში პარტრონებდაკარგული ნივთები გლოვობენ — ხის ტახტი, სამფეხები და ტაბლეტი, კიდობანი, სპილენძის თუნგები, თიხის დოქები, საფეხავი, გუთანა, ფანდური, დედაბოძზე თოფი, მშვილდი და ფარი... ოთახში ქერა, თმდახვეული გოგო შემოდის ბიჭთან ერთად. — გიდობას მე ვაგინევ! — შესცინის ბიჭს, — აი, შენი წინაპრები სად ისხდნენ! — საუფროსოს სამფეხას მოჩუქურთმებულ საზურგეს უსვამს ხელს. მერე ათვალთვრებს ჩამქრალ კერიაზე ჩამოკიდებულ გამურულ ქვაბს, ქაფქირს... — კიდევ კარგი, იმ დროში არ დავიბადე! — ამბობს გადარჩენილი და გალიმბულ ბიჭთან ერთად ოთახიდან გარბის. გარეთ მზე და სითბოა. ოთახში ტაბლაზე პატარა ცარიელ ჯამში კოვზი დევს.

